

ისანში თიბისი ბანკის ახალი ფილიალი ბაიხსნება

თიბისი ბანკის მენეჯმენტი

2009 წლის იანვარი-მაისის ფინანსურ შედეგებს შეაჯამებს

პრესრელიზი

26 ივნისი, 2009 - დღეს, 14:00 საათზე თიბისი ბანკი საზეიმოდ გახსნის ახალ ფილიალს ისანში. ღონისძიებაზე ბანკის მენეჯმენტი საზოგადოებას თიბისი ბანკის მიმდინარე 5 თვის შედეგებს გააცნობს. გახსნის ცერემონიას დაესწრებიან თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი ჯაფარიძე და მენეჯმენტის სხვა წარმომადგენლები.

ახალი ფილიალი, რომელიც დღეს საზეიმოდ გაიხსნება ისანში, თიბისი ბანკის რიგით მესამე ფილიალია, რომელიც ბანკმა 2009 წლის დასაწყისიდან გახსნა.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიუხედავად, თიბისი ბანკი კვლავ აგრძელებს ფილიალების ქსელის გაფართოებას და სერიოზულ ინვესტიციას ახორციელებს ამ მიმართულებით.

ისნის ფილიალი მომხმარებელს შესთავაზებს სრულ საბანკო მომსახურებას, რაც გულისხმობს ბანკის ყველა სახის პროდუქტისა და სერვისის მიწოდებას. ამასთან, ფილიალი მოემსახურება როგორც კერძო პირებს, ისე სხვადასხვა ორგანიზაციებსა და კომერციული კომპანიებს.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიების ბაზარზე;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ეობრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ წამყვანი პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B and B
- ◆ Moody's: B 3 and Ba 1

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი ჯერძო პირები.

თიბისი ბანკის 5 თვის შედეგები

ქვეყანაში განვითარებული რთული ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მიუხედავად, თიბისი ბანკმა 2009 წელი საკმაოდ ოპტიმისტურად დაიწყო და თითქმის ყველა ძირითადი ფინანსური მაჩვენებელი გააუმჯობესა.

2009 წლის მაისის თვეში (აპრილთან შედარებით), ბანკის აქტივები **17 მილიონი ლარით**, ანუ 1%-ით გაიზარდა; მთლიანი დეპოზიტების პორტფელის ზრდა **22 მილიონი ლარი**, ანუ 3%-ია, ხოლო წმინდა მოგება **54 მილიონი ლარი** შეადგინა.

გარდა ამისა ბანკი წარმატებით ასორციელებს წლის დასაწყისში დასახულ გეგმებს, კერძოდ:

ბანკმა გახსნა 3 ახალი ფილიალი და ერთი ახალი სერვის-ცენტრი ზაპესში.

ფინანსური რესურსების დეფიციტურობის პირობებში, უცხოური ბაზრებიდან თიბისი ბანკში განხორციელდა 161 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, რომელიც უმსხვილესი საფინანსო ინსტიტუტების IFC, EBRD და FMO მიერ განხორციელდა. მოზიდული რესურსის ნაწილი მოხმარდა ბანკის კაპიტალის გაზრდას, ხოლო მეორე ნაწილი არის გრძელვადიანი საკრედიტო რესურსი, რომელიც ბანკს საშუალებას მისცემს, განახორციელოს აქტივობა მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში.

დეპოზიტების ბაზარზე თიბისი ბანკმა დაწერა ახალი, „ბონუს ანაბარი“, რომელიც წარმოადგენს დაგროვების ძალიან მარტივ და მოქნილ სისტემას. ახალი ანაბრის მფლობელები 1 წლის განმავლობაში დაგროვილ თანხაზე საჩუქრად ბანკისგან დამატებით ბონუსს მიიღებენ.

დღეისთვის ანაბრების ბაზარზე თიბისი ბანკის წილი საქართველოს 10 წამყვან ბანკს შორის თითქმის 30%-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ თიბისი მყარად ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას და ანაბრების ბაზრის ყველაზე დიდ წილს ფლობს.

2009 წელს თიბისი ბანკმა ანაბრების შარშანდელი წარმატებული გათამაშება გააგრძელა და თებერვლიდან “მილიონიანი გათამაშება-2” დაიწყო. წელს ბანკმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ყოველთვიური პრიზები და თავის მეანაბრეებს აძლევს შანსს, ავტომობილის ნაცვლად მოიგონ **ახალი ბინა ვაკეში, ჰავზავაძის 5-ში**, ხოლო ახალი წლის დამეს - **1 მილიონი ლარი**.

ანაბრების გათამაშების “გახდი მილიონერი” ფარგლებში, უკვე სამმა იღბლიანმა მენაბრემ მოიგო ბინა. თიბისი ბანკში გაიხსნა **19 ათასამდე** ერთეული **ახალი ვადიანი ანაბარი** და **13 ათასი** ერთეული **“ჩემი სეიფი”**. აქციის ფარგლებში გახსნილი ვადიანი ანაბრების ჯამურმა მოცულობამ **163 მილიონი ლარი** შეადგინა.

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი კერძო პირები.